



## საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან  
ოქმი № 15, 19 სექტემბერი, 2022 წელი  
პრორექტორი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი № 42, 26 სექტემბერი, 2022 წელი  
ფაკულტეტის დეკანი /ასოც. პროფ. დოქტ. ილია ბოცვაძე/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე  
ოქმი № 31, 26 სექტემბერი, 2022 წელი  
რექტორი /დოქტ. საფფეთ ბაირაქეთუანი/

### საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი)

თბილისი  
2022 წელი



## საგანმანათლებლო პროგრამა

**მიმართულება:** ბიზნესის ადმინისტრირება - 04

**დარგი / სპეციალობა/ქვედარგი:** საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა - 0411

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი / Accounting and Audit

**ფაკულტეტი:** ბიზნესისა და ტექნოლოგიების

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** ასოც. პროფ. დოქტ. ილია ბოცვაძე, მობ: +995 598 20 20 17; ელ. ფოსტა: [ibotsvadze@ibsu.edu.ge](mailto:ibotsvadze@ibsu.edu.ge)

**განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში / Bachelor of Business Administration in Accounting

**კვალიფიკაციის კოდი:** 0411

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 ECTS კრედიტი



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პროგრამის სტრუქტურა:** უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

- აკადემიური წერა - 5 კრედიტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი
- უცხო ენა - 15 კრედიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების და საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სავალდებულო საგნები - 133 კრედიტი
- ბიზნესის და საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის არჩევითი საგნები - არანაკლებ 12 კრედიტი
- თავისუფალი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) საგნები - 70 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა ინგლისური ენის ჩაბარება და 50%+1 ზღვარის გადალახვა. ასევე ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის იხილეთ ბმულზე – <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>

**პროგრამის მიზანი:** საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია (1) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში; (2) პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებისათვის ბიზნესის და საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური საკითხების საფუძვლიანი ცოდნის, და პრაქტიკული უნარების უზრუნველყოფა; (3) პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს უპასუხონ თანამედროვე ბიზნეს გარემოს გამოწვევებს და ხელს უწყობს მათ საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**სწავლის შედეგი:** პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდებათ სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. შეუძლია ბიზნესის სფეროს კომპლექსური საკითხების, ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის ძირითადი პრინციპები და მათი ურთიერთკავშირების გაცნობიერება;</li> <li>2. კურსდამთავრებულმა იცის: ბიზნეს-გარემოში მიმდინარე პროცესების შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა; ბიზნესის კვლევისა და წარმართვისათვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათემატიკური, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა და პრინციპები; ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და კულტურათაშორისი პასუხისმგებლობის პრინციპები;</li> <li>3. ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები და წარმოების თანამედროვე მეთოდები; საბუღალტრო საინფორმაციო სისტემები;</li> <li>4. ფინანსური ანგარიშგების, როგორც რეგულირებისა და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსი და საერთაშორისო სტანდარტები; საგადასახადო საქმის საფუძვლები, საგადასახადო დაგეგმვა და გადასახადების ადმინისტრირება;</li> <li>5. ფინანსური აუდიტისა და კონტროლის საფუძვლები და მეთოდები, ანალიზისა და აუდიტის ჩატარების ტექნიკა.</li> </ol>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>6. კურსდამთავრებულს შეუძლია: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ბიზნესის გარემოს ობიექტური რეალობის ახსნა, ბიზნეს-ფირმაზე, კომპანიაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება, ორგანიზაციის ფინანსების დაგეგმვა, ანალიზი და მართვა; ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ, აუდიტორულ ინსტიტუტებთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთობა.</li> </ol>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>7. კურსდამთავრებულს აქვს რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვის, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული უნარი; ბიზნესის სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების, თეორიებისა და ჰიპოთეზების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების, სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების, დამოუკიდებლად შესწავლისა და განზოგადების, მომგებიანობის შეფასების უნარი.</li> </ol>



## საგანმანათლებლო პროგრამა

<b>კომუნიკაციის უნარი</b>	8. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ურთიერთობა.
<b>სწავლის უნარი ღირებულებები</b>	9. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესისა და საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და სხვადასხვა კუთხით შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ეთიკის პრინციპების/აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვა და განხორციელება.

### პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9
(1)	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
(2)			✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
(3)						✓	✓	✓	✓



## საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი/მოდული/პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
აკადემიური წერა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ინფორმაციული ტექნოლოგიები	✓	✓	✓	✓	✓	
მათემატიკა I	✓	✓	✓	✓	✓	
მიკროეკონომიკის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მათემატიკა II	✓	✓	✓	✓	✓	
მაკროეკონომიკის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მენეჯმენტის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მარკეტინგის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	✓	✓	✓	✓	✓	



## საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნეს ინგლისური I	✓	✓	✓	✓	✓	
სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	✓	✓	✓	✓	✓	
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნეს ინგლისური II	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნეს სტატისტიკა	✓	✓	✓	✓	✓	
ფინანსური აღრიცხვა	✓	✓	✓	✓	✓	
ფინანსების საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მენეჯერული აღრიცხვა I	✓	✓	✓	✓	✓	
საბუღალტრო პროგრამების გამოყენება (ორისი)	✓	✓	✓	✓	✓	✓
საგადახადო დაბეგვრის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
მენეჯერული აღრიცხვა II	✓	✓	✓	✓	✓	
ფინანსური ანგარიშგება	✓	✓	✓	✓	✓	
გადასახადების ადმინისტრირება	✓	✓	✓	✓	✓	



## საგანმანათლებლო პროგრამა

აუდიტის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	✓
საგადასახადო დაგეგმვა და სტრატეგია	✓	✓	✓	✓	✓	
პრაქტიკა	✓	✓	✓	✓	✓	✓
საჯარო ფინანსები	✓	✓	✓	✓	✓	
ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში	✓	✓	✓	✓	✓	✓
ანალიტიკური ინსტრუმენტები ბიზნესში	✓	✓	✓	✓	✓	
საბანკო საქმის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	
ადამიანური რესურსების მართვა	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნეს რუსული (B1)	✓	✓	✓	✓	✓	
სახელმწიფო და არამომგებიანი ორგანიზაციების ანგარიშგება	✓	✓	✓	✓	✓	
ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	✓	✓	✓	✓	✓	
უძრავი ქონების შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	
პითონი ბიზნესისა და ეკონომიკისთვის	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნეს რუსული (B2)	✓	✓	✓	✓	✓	





## საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის კვლევის საფუძვლები	✓	✓	✓	✓	✓	✓
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	✓	✓	✓	✓	✓	
ფინანსური უწყისების ანალიზი	✓	✓	✓	✓	✓	✓
საბაკალავრო ნაშრომი	✓	✓	✓	✓	✓	✓
საერთაშორისო ოპერაციების დაბეგვრა	✓	✓	✓	✓	✓	
ბულალტრული აღრიცხვისა და ბიზნეს ოპერაციების პროგრამა „ბალანსი“	✓	✓	✓	✓	✓	
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	✓	✓	✓	✓	✓	✓

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

**ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

**აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:**

**პრეზენტაცია (ლექტორის მიერ)** – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

**დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო



## საგანმანათლებლო პროგრამა

გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინოთ საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია** - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

**ანალიზი** - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზი** - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

**დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები** - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება,



## საგანმანათლებლო პროგრამა

ანალიზი და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლება** - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**ამოცანების ამოხსნა** - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.

**პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ინდივიდუალური მუშაობა** - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

**წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

**საშინაო დავალების შესრულება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.



## საგანმანათლებლო პროგრამა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

- 1) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:





## საგანმანათლებლო პროგრამა

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო კურსებს, ხოლო სწავლების მეხუთე სემესტრიდან სტუდენტები სწავლობენ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის დარგის სასწავლო კურსებს.

დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს.

პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 70 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (60 კრედიტი) ან აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობების დაცვით.

პროგრამაში უცხო ენებისთვის განკუთვნილია 15 კრედიტი. ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენის ზღვარი არის დაწესებული.

თუ ჩარიცხვისას სტუდენტმა ინგლისურის B2 დონე ვერ დაადასტურა, თავისუფალი კრედიტების ბლოკიდან სავალდებულოდ იღებს შესაბამის ინგლისური ენის კურსს B2-ის მიღწევამდე. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს. უცხო ენის ოთხი დონე განსაზღვრულია შემდეგნაირად: A1, A2, B1 და B2. უცხო ენის არჩევის



## საგანმანათლებლო პროგრამა

შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის ენის ცოდნის დონე (ტესტირების ან სერთიფიკატის წარმოდგენის შედეგად) რის შემდეგაც მას უფლება აქვს არჩეული უცხო ენა დაიწყოს შესაბამისი დონიდან.

**დასაქმების სფერო:** საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნისა და უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში (საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები), სადაც ის პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს არა მხოლოდ ბიზნესის, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის, არამედ სხვა პროფილითაც, შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი რესურსები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.





## საგანმანათლებლო პროგრამა

### სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება						საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში			
			I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი მუშაობა		ჯამური საათები		
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო					
<b>უცხო ენა</b> (ინგლისური, ქართული (უცხო ენაზე მოსაუბრეებისთვის), რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური, თურქული).	არჩევითი	15	5	5	5								45	129	6	6	186	189	375	12
<b>დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები</b>	არჩევითი	70			10	10	10	10	10	20	392	210	28	28	658	1092	1750	42		
<b>სავალდებულო კურსები</b>	სავალდებულო	153	25	25	20	22	14	17	10	10	613	790	52	53	1508	2067	3575	97		
აკადემიური წერა	სავალდებულო	5	5								15	28	2	2	47	78	125	3		
ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5								14	29	2	2	47	78	125	3		
მათემატიკა I	სავალდებულო	5	5								28	30	2	2	62	63	125	4		
მიკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5	5								27	16	2	2	47	78	125	3		
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	სავალდებულო	5	5								26	17	2	2	47	78	125	3		



## საგანმანათლებლო პროგრამა

მათემატიკა II	სავალდებულო	6		6											28	30	2	2	62	88	150	4
მაკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5		5											27	16	2	2	47	78	125	3
მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5		5											27	16	2	2	47	78	125	3
მარკეტინგის საფუძვლები	სავალდებულო	5		5											29	14	2	2	47	78	125	3
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	სავალდებულო	4		4											28	15	2	2	47	53	100	3
ბიზნეს ინგლისური I	სავალდებულო	5			5*	5*									28	15	2	2	47	78	125	3
სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი	სავალდებულო	5			5										14	29	2	2	47	78	125	3
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სავალდებულო	5			5										16	27	2	2	47	78	125	3
მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	სავალდებულო	5			5										14	29	2	2	47	78	125	3
ბიზნეს ინგლისური II	სავალდებულო	5				5*	5*								28	15	2	2	47	78	125	3
ბიზნეს სტატისტიკა	სავალდებულო	6				6									20	38	2	2	62	88	150	4
ფინანსური აღრიცხვა	სავალდებულო	6				6									29	29	2	2	62	88	150	4
ფინანსების საფუძვლები	სავალდებულო	5				5									14	29	2	2	47	78	125	3
მენეჯერული აღრიცხვა I	სავალდებულო	6					6								26	32	2	2	62	88	150	4
საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები	სავალდებულო	4					4								29	14	2	2	47	53	100	3
საბუღალტრო პროგრამების გამოყენება (ორისი)	სავალდებულო	4					4								16	27	2	2	47	53	100	3
მენეჯერული აღრიცხვა II	სავალდებულო	6						6							26	32	2	2	62	88	150	4
ფინანსური ანგარიშგება	სავალდებულო	6						6							30	28	2	2	62	88	150	4
გადასახადების ადმინისტრირება	სავალდებულო	5						5							27	16	2	2	47	78	125	3
